საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/217 " 9 " დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის დაბრუნებაზე
სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმდინარე წლის 30 ნოემბრის №06-8489 წერილით მომართა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა. წერილში აღნიშნულია, რომ 2018 წლიდან ბორჯომის მაგისტრატი სასამართლო განთავსებულია ქ. ბორჯომში, დუმბაძის ქ. №7-ში მდებარე ახალ შენობაში, ამასთან, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სარგებლობაში რჩება ქ. ბორჯომში, დ. აღმაშენებლის ქ. №14-ში მდებარე მაგისტრატი სასამართლოს ყოფილი შენობა, რომლის სარგებლობის საჭიროება დღეის მდგომარეობით აღარ არსებობს. შესაბამისად, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ითხოვს თანხმობის მიცემას აღნიშნული შენობის სახელმწიფოსათვის დაბრუნების თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, უზრუნველყოს ქ. ბორჯომში, დ. აღმაშენებლის ქ. №14-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: 64.23.02.526) სახელმწიფოსათვის დაბრუნება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი